ახალი ხარაგაული

№319 (11), 11 მაისი, 2016 წ.

მიღოცვა

ვულოცავთ ბაზალეთის მაჟორიტარ დეპუტატს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, მოსწავლეების უსაყვარლეს პედაგოგს, **ვარლამ ჭიპაშვილს** დაბადების დღეს. ვუსურვებთ თავის საქმესა და ადამიანებზე უსაზღვროდ შეყვარებულ პერსპექტიულ ახალგაზრდას ყველა იმ ჩანაფიქრის სრულყოფას, რომელიც გაბრწყინებს მის საფიცარ კუთხეს, შვება-სიხარულს აზიარებს იმ ადამიანებს, რომელთა უკეთესი აწმყო მისი ყოველწამიერი საზრუნავია.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართება

14 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივითა და დაბის N3 საჯარო სკოლის მხარდაჭერით ხარაგაულში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართება. სამედიცინო აქციას საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ განახორციელებს. აქციის ფარგლებში პაციენტებს უფასოდ მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები: კარდიოლოგი, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, პედიატრი, გინეკოლოგი, ნერვოლოგი, ნერვოპათოლოგი. პაციენტებს საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე ჩაუტარდებათ უფასო ექოსკოპიური, კარდიოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები. ხარაგაულში სამედიცინო აქციას საერთაშორისო ასოციაციასთან არსებული მობილური სამედიცინო ბრიგადა განახორციელებს. გასინჯულ პაციენტებს საჭირო მედიკამენტები უფასოდ გადაეცემათ. გამოკვლევების ჩატარება ხარაგაულში მცხოვრებ ნებისმიერ პირს შეუძლია.

პაციენტთა მიღება მოხდება დაბის N3 საჯარო სკოლაში 11.00 -დან 19 სთ-მდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 595-51-98-12

ხარაგაულში დიადი გამარჯვების 71 წლის იუბილე აღინიშნა

9 მაისს ხარაგაულში ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ომის ვეტერანებს დღესასწაული მიულოცეს და ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, გამგებლის მოადგილეებმა: პაატა გოგოლაძემ, დავით დევდარიანმა, ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ ებანოიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

ნელს დიადი გამარჯვების 71-ე წლისთავს ხარაგაულიდან 17 ვეტერანი შეხვდა, მათგან ღონისძიებაზე მოსვლა მხოლოდ ოთხმა შეძლო.

71 ნელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისტორიას ჩაბარდა თავისი შედეგებითა და მასშტაბებით ყველაზე სასტიკი ომი... ომი, რომელიც 1418 დღე გრძელდებოდა და 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დიდი სამამულო ომი — ასე უწოდეს ამ ომს. მისი ისტორია სავსეა ვაჟკაცობის, შემართებისა და გმირობის ბრწყინვალე მაგალითებით. რაც უფრო მეტი დრო გადის ფაშიზმზე გამარჯვების დღიდან, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამ გამარჯვების საკაცობრიო მნიშვნელობა. ხარაგაულის რაიონიდან ფრონტზე 5706 კაცი გაიწვიეს, აქედან 2704 მეომარი შინ აღარ დაბრუნებულა. 798 გმირული ბრძოლისათვის დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. 6 მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის ნოდება მიენიჭა.

ომის ველზე ნასული 19 მამა-შვილი უკან აღარ დაბრუნებულა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ოჯახიდან ომში 4-5 ძმას უწევდა წასვლა. ასე დაეცა ბრძოლის ველზე ოთხი ძმა სახვაძე ვერტყვიჭალიდან, ოთხი ძმა ავალიანი - სარგვეშიდან, ოთხი ძმა ტაბატაძე - ხევიდან, ხუთი ძმა კუპატაძე - ვანიდან და სხვა. შინ დარჩენილ ხარაგაულელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ გამარჯვებაში. ჩვენი რაიონიდან გაიგზავნა 13 მილიონი მანეთი სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავების შესაძენად, 18 მილიონი-თავდაცვის ფონდში. შეგროვდა 100 ტონაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ასე უპასუხეს ხარაგაულელებმა მონოდებას - „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.“

9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასკვნითი ეტაპი ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში გაიმართა. ომის ვეტერანებს გამარჯვების 71-ე წლისთავი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები პირადად გადასცეს: მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ და ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ დირექტორმა, გიორგი ჩიჩილიძემ.

ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, მთავარი ფონდის მცველმა, ქალბატონმა ეკა შველიძემ, კიდევ ერთხელ გაიხსენა ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი ომი და ამ ომში ქართველთა წვლილსა და მათ უსაზღვრო თავდადებაზე ისაუბრა.

ომის ვეტერანებს სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა: „თქვენ ბრძანდებით ის ადამიანები, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე. თქვენი დამსახურებით, ჩვენმა სამშობლომ დიდ გამარჯვებას მიაღწია. თქვენი თავდადება და გმირობა კვლავ დიდხანს იქნება მაგალითი მომავალი თაობისათვის. თქვენ ხართ არა მარტო ომის მონაწილეები, არამედ - გმირებიც. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.“

ხარაგაულის ქალთა ანსამბლმა „მანდილმა“ღონისძიებაზე ომის თემებზე შექმნილი სიმღერები შეასრულა. სპეციალურად დღევანდელი დღისათვის შედგა ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ახლადშექმნილი ანსამბლის დებიუტი, სიმღერით ,,ნიავი ქრის“. ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ომის ვეტერანების საპატივცემლოდ საზეიმო ალა-ფურშეტი მოეწყო.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ომის ვეტერანებს 600 ლარი გადაეცემათ, ხოლო მარჩენალდაკარგული ოჯახები 300 ლარიან დახმარებას მიიღებენ.ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ დღესთან დაკავშირებით ომის ვეტერანები ასევე 200 ლარს მიიღებენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა მათ ყოველთვიურად კომუნალურ ხარჯებს უფარავს.

ეკა შავიძე

„ეტალონში“ გამარჯვებულ მოსწავლეებს ნოუთბუქები გადაეცათ

3 მაისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (უფროსი დავით კიკნაძე) მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა ხარაგაულელ „ეტალონის“ გამარჯვებულ მარიამ ფცქიალაძეს (მარელისის საჯარო სკოლა — I ადგილი), ნონა მაჭავარიანს (N2 საჯარო სკოლა — II ადგილი) და სოსო გოგოლაძეს (ბორითის საჯარო სკოლა — III ადგილი) ნოუთბუქები გადასცა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და „ეტალონში“ გამარჯვებულებს წარმატებები უსურვა. „გარკვეული დრო გავიდა მას შემდეგ, რაც „ეტალონში“ გამარჯვებულებს ნოუთბუქების გადაცემას დავპირდით. ვგეგმავდით, დანაპირები, 14 მაისს, როდესაც თბილისში „ეტალონის“ მასშტაბური ღონისძიება გაიმართებოდა, მაშინ შეგვესრულებინა. თუმცა, ჩვენი ოპონენტების მხრიდან, განსაკუთრებით კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებიდან, ხშირად ისმოდა კრიტიკა, რომ დანაპირებს არ ვასრულებდით. მუნიციპალიტეტი წარმატებულ მოსწავლეებს ყოველთვის დაუდგება გვერდით და გაუწევს დახმარებას. ეს ჩვენგან პირობითი საჩუქარია, რათა თქვენ კიდევ უფრო წარმატებულები იყოთ“. — აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ მოსწავლეებს წარმატებები უსურვა და მუნიციპალიტეტის გამგეობას მადლობა გადუხადა გვერდით დგომისთვის.

21 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში პროექტ „ეტალონის“ ფინალური შეხვედრა გაიმართება, სადაც მონაწილეობას საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამარჯვებული მოსწავლეები მიიღებენ. ფინალში ხარაგაულის

„ეტალონის“ პირველი ადგილის მფლობელი, მარიამ ფცქიალაძე, იბრძოლებს გამარჯვებისთვის.

მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ფცქიალაძე: „მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, ასეთი ძვირფასი საჩუქრისათვის, გვერდით დგომისა და წახალისებისათვის. მადლობა ასევე ჩემს პედაგოგებს. ვუსურვებ მათ, რომ თავიანთი მოსწავლეებით კიდევ ბევრჯერ ეამაყოთ.“

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულის სტუმართმოყვარეობა „გვირილობა 2016“-ზე

„გვირილობის“ დღესასწაული ქუთაისში სახალხო ზეიმით აღინიშნა. მუხნარის ტყე—პარკში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტი შემოქმედებითი ღონისძიებებით, ეთნოგრაფიული და ტრადიციული გასტრონომიული კუთხით იყო წარმოდგენილი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით წარმოადგინა თავისი კუთხის ტრადიციები, როგორც სამზარეულო, ასევე ორიგინალური ხალხური რეწვის ნიმუშები და ხის ნაკეთობები. მუხნარის ტყეში გასართობი და სპორტული აქტივობები გაიმართა. მოეწყო გამოფენები, თეატრალიზებული სანახაობები. მუნიციპალიტეტების ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. კონცერტზე კიცხის ფოლკლორულმა ანსამბლმა, „ოდილამ“ იმერული ხალხური სიმღერები „ჭონა“ და „იმერული სახუმარო“ შეასრულა. ხარაგაულელი სალომე კვირიკაშვილის სიმღერამ „იმერეთო“ ოვაციებისა და აპლოდისმენტების ფონზე ჩაიარა. ხარაგაულელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საჩვენებელ ქართულ ჭიდაობაში. „გვირილობა 2016“-ს ქუთაისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ქუთაისს ამ დღეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი სტუმრობდა. ღონისძიებებს ქუთაისის მერი შოთა მურღულია, იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი, მხარის და ქალაქის სხვა წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები დაესწრნენ. ქუთაისქალაქობა ეს ტრადიცია, რაც „გვირილობის“ ზეიმს უკავშირდება მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. აქტივობებს იმერეთის მუნიციპალიტეტებიდან ასობით ადამიანი ესწრება.

ეკა შავიძე

სოფელ ბაზალეთში ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები გრძელდება

სოფელ ბაზალეთში ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები გრძელდება. 3 მაისს მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა, მოინახულეს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 230 000 ლარით დაფინანსდა და ერთკილომეტრიანი მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია თვის ბოლოს დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს გზა სოფლის ცენტრამდე მოასფალტდა. ამჟამად კი,სამუშაოები სოფელ ბაზალეთიდან ღარიხევის მიმართულებით

მიმდინარეობს. სოფელში მოასფალტებული გზა არასდროს ყოფილა. მოსახლეობა დღემდე ამორტიზებული გზით გადაადგილდებოდა.

კობა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სოფელში მოეწყო გარე განათების ქსელიც და ვგეგმავთ ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სხვა სოფლებშიც გაკეთდეს გარე განათება. სოფელში დასრულებულია გაზიფიცირების პროექტი და სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. ბაზალეთს ჰყავს ძალიან კარგი გამგებელის წარმომადგენელი და აქტიური მაჟორიტარი დეპუტატი. ისინი ყველა პრობლემასთან დაკავშირებით არიან ადეკვატურები და დროულად ახდენენ რეაგირებას“.

ვარლამ ჭიპაშვილი - ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი:

„ამ ეტაპზე მიმდინარეობს ერთკილომეტრიანი გზის მოასფალტების სამუშაოები. ამავე დროს მოხდება სანიაღვრე არხების მოწყობა. გაკეთდა საუკუნის პროექტი, რომელიც დარჩება მომავალ თაობას და მოსახლეობას გადაადგილება გაუადვილდება. პრაქტიკულად ბაზალეთი გახდება დაბის ტიპის დასახლება, სადაც იქნება კეთილმოწყობილი გზა, გარე განათება, გაზი, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ხიდ-ბოგირები და ა.შ. ეტაპობრივად ხდება მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრაც, ეს კი იმის დასტურია, რომ სოფელი განვითარების ეტაპზეა“.

ამირან ჭიპაშვილი - ბაზალეთში მცხოვრები:

„სოფელში გზის პრობლემა ყოველთვის გვაწუხებდა. გზა იხრეშებოდა, თუმცა მალევე ზიანდებოდა. დღეს კი ყველაფერი ხარისხიანად კეთდება. გზა მოასფალტდა და ყოველივე ეს მისასალმებელია. სოფელში ბევრი რამ გაკეთდა ბოლო წლების განმავლობაში და ადგილობრივები კმაყოფილები ვართ. მადლობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს და მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ ვარლამ ჭიპაშვილს, ბაზალეთში ასეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.

ეკა შავიძე

„თუ დაგივიწყო, საქართველო...“

3 მაისი, ქუთაისის პირველი კლასიკური გიმნაზიის სააქტო დარბაზი... მოლოდინი შეხვედრისა, მონატრებისა, დიდი სიყვარულისა და მრავალსაუკუნოვანი ძმობის ლეგენდის გაგრძელებისა...

ქუთაისობის დღესასწაულზე სხვა მრავალ საინტერესო ღონისძიებასთან ერთად დაგეგმილია ქართულ-ებრაული მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო სპექტაკლით „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ავტორი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი,ნიჭიერი, მომხიბვლელი ქართველი ქალი, ყოველგვარი ადამიანური ღირსებით დაჯილდოებული და ადამიანებზე საოცრად შეყვარებული, ქალბატონი იზა ვეფხვაძე.

სტუმრები: ისრაელიდან - ელჩი იუვალ ფუქსი, მაქს შავიტი, პაატა იოსებაშვილი, შოთა წვენიაშვილი; მასპინძლები - იმერეთში სახელმწიფოს რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, ქუთაისის მერი შოთა მურღულია, ებრაული სათვისტომო ქუთაისიდან (ხელმძღვანელი მოსე ბალუაშვილი), წარმომადგენლობა ხარაგაულიდან - მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის ხელმძღვანელობით; მწერლები და საზოგადო მოღვაწენი...

დარბაზში ზის სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების საოცრად მოსიყვარულე,გრძნობით აღსავსე მსმენელი, ქართველები და ებრაელები. დაიწყო... დაიწყო ამ ორი ერის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია, ქალბატონი იზა ცოცხალი ხიდია ამ მეგობრობისა და გამგრძელებელი ორი ერის სიყვარულით დაწერილი მატიანისა. იგი ჰყვებოდა შეუდარებული სიყვარულის ისტორიას, არა, კი არ ჰყვებოდა, გალობდა,საოცარი მიმზიდველობით, გამაოგნებელი ტკბილი ხმოვანებით და მელოდიურობით.დარბაზი მონუსხული ისმენდა,თითქოს ყველანი ერთად ოცნების თეთრ სამყაროში ვიყავით,თითქოს გარეთ არაფერი ხდებოდა,მხოლოდ ჩვენ,უდიდესი სიყვარულით გამთბარი აუდიტორია და წამის მარადიულობის შეგრძნება.დრო გაჩერდა,წარსული,აწმყო და მომავალი ერთად თანაარსებობდა.

სპექტაკლის მსმენელ-მაყურებელთა შორის არიან ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლის მასწავლებლები:დარეჯან ნემსაძე,აზა ჯამბურიძე ,ცისკარა ფაჩულია და ნინო ბანცაძე, იმდღევანდელი ემოციების თქვენთვის გამზიარებელი და ბიბლიურ ერზე შეყვარებული ქართველი.

დარეჯან ნემსაძე: მოუთმენლად ველოდი იზა ვეფხვაძის სპექტაკლის ნახვას, წლების წინ ოთარ მამფორიას საიუბილეო საღამოზე პირველად ვიხილე ქალბატონი იზა.ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინს გადააჭარბა,ახლაც იგივე ემოცია მავსებს,ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობის მთელი ისტორია გადმოგვიშალა ქალბატონმა იზამ. ეს საღამო ნამდვილი მოვლენაა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.აღფრთოვანებას ვერ ვმალავ იზა ბრწყინვალე,ნიჭიერი ქალბატონია,ნამდვილად მინდა, მისი ყველა სპექტაკლი ვნახო.

საქართველოს ებრაელობასთან ურთიერთობა 26 საუკუნეზე მეტს ითვლის.ეს არის ისტორია ,რომელიც ღვთისგან საჩუქარივით გვერგო. 26 საუკუნე გვაკვაშირებს სიყვარული და დალოცვილი მიწა, რომელიც დიდი საგანძურივით დასაცავი და მოსავლელია.

ნებისმიერი საზოგადოებრივი ჯგუფის, სახელმწიფოების ურთიერთობა ისტორიული კანონზომიერებაა, მაგრამ არსად, ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხნის ურთიერთობების ისეთი კავშირების შესახებ, რომელიც ამ ორი ერის ისტორიას ამშვენებს. ეს არის სიყვარულის ფენომენი, შეუდარებელი და ამოუხსნელი-მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მონოლითური სიმბოლო.

ქართულ-ებრაული ურთიერთობა ისეთივე ნაციონალური ბრენდია, როგორც ქართული სტუმართმოყვარეობა. ისტორიული მეხსიერება ძლიერია,ცივილიზაცია სწორედ განვითარებული ურთიერთობებია,რომლის ძაფებიც არასოდეს არ წყდება.ებრაელები ჩვენი ისტორიული ბედის თანაზიარნი არიან, ჩვენ - მათი.

ებრაელებს ახასიათებთ საოცარი მოთმინება, ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომა, მობილურობა, ერთსულოვნება და სიყვარული.საქართველოდან წასული ებრაელობა შეიძლება ჩავთვალოთ კარგ „მეხუთე კოლონად“,რომელიც დღესაც მუშაობს, მსოფლიოში განავრცოს ქართული ტრადიციები, ხასიათი, სტუმართმოყვარეობა, ენა. საზღვარგარეთ ქართული ენა აქედან წასულებისათვის ყოფიერება ებრაულია, ცნობიერება - ქართული. საქართველოში ებრაელები თემებად ცხოვრობდნენ, ახლა კი მათ პატარა საქართველო შექმნეს ისრაელში. წინანდელი მონატრებისას, ებრაელი ამბობდა: „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ...“ ახლა კი ამბობს: „თუ დაგივიწყო, საქართველო...“

დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა ქალბატონ იზა ვეფხვაძის პატივგების სიგელით დაჯილდოებას და მისთვის ქართულ-ებრაული მეგობრობისა და სიყვარულის ელჩის საპატიო წოდების მინიჭებას.

მრავალჟამიერ ქართულ-ებრაულ მეგობრობას, მრავალჟამიერ თქვენს შემართებას თქვენს მზექალობას, თქვენი სიტყვის ცოცხალ ძალასა და ხიბლს, ქალბატონო იზა!

ნინო ბანცაძე
ქუთაისის მე-40 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი

ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხელოვნების ფესტივალ „ქართული სულის“ ფარგლებში გამართულ კონცერტს დაესწრნენ

10 მაისს, ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში, ხელოვნების ფესტივალ “ქართული სულის” ფარგლებში კონცერტი გაიმართა.

კონცერტში ცნობილი ანსამბლი “ქართული ხმები” იღებდა მონაწილეობას, რომლის სოლისტი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული—გუბერნატორი გივი ჭიჭინაძეა. ამავე დღეს, ფესტივალის უხუცესთა საბჭოს გადაწყვეტილებით იმერეთის გუბერნატორი სპეციალური სიგელითაც დაჯილდოვდა.

ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის—გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ქუთაისის მერი შოთა მურღულია და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, თემურ ჩხეიძე და დავით დევდარიანი.

ფესტივალი “ქართული სული” საქართველოში უკვე 13 წელია იმართება. ქუთაისში კი მეორედ, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა.

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს

3 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს. კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს წევრებს საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დეტალურად გააცნო. დეპუტატებმა ანგარიში შეაფასეს და მომხსენებელს კითხვებით მიმართეს. ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარემ, იუზა (ვალოდა) კელენჯერიძემ, განაცხადა, რომ „2016 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ვარლამ ჭიპაშვილსა და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, ვლადიმერ გელაშვილს, ერთობლივი საჯარო შეხვედრები ჰქონდათ მოსახლეობასთან, რაც მისასალმებელია“. იუზა კელენჯერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობა დადებითად შეაფასა და კომისიის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა ფრაქციის სახელით დაყენებული რამდენიმე საკითხის მოგვარების აუცილებლობა (რახიელას ღელის გაწმენდა, ბოინის მოწყობა და ა.შ.).

„პირველ რიგში მუშაობის პრაქტიკა, რომელიც გაგვაჩნია ფრაქცია „მრეწველებთან“, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იურთიერთონ კომისიებმა და საკრებულოს თითოეულმა წევრმა ფრაქციებთან, რომლებმაც შეიძლება განსაკუთრებული იდეები მოგვაწოდონ. საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან, რომელიც დაკავშირებული იყო ბიუჯეტის საჯარო განხილვასთან, შედეგიანი აღმოჩნდა. ჩვენ დავინახეთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და ვნერგავთ პრაქტიკას, რათა ერთობლივად ვიფიქროთ მათ აღმოფხვრაზე. ვფიქრობ, პრიორიტეტები სწორად შეირჩა. წამოვიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი იდეა მოსახლეობასთან შეხვედრისას.“ - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ, იური ლურსმანაშვილმა, ანგარიში რეპლიკის სახით შეაფასა „თქვენი მუშაობის ხარისხი დასაწუნია. მაგალითად წინასწარ იცოდით, რომ ბიუჯეტი არ იყო სრული, მაგრამ მხარი მაინც დაუჭირეთ. აღიარეთ ეს!“.

დეპუტატებმა ლენა აბაშიძემ, მარინე ვეფხვაძემ, დავით კიკნაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში დადებითად შეაფასეს, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კომისიის სხდომები ყოველთვის ორგანიზებულად ტარდება. „ვარლამ ჭიპაშვილი, როგორც კომისიის თავმჯდომარე და როგორც დეპუტატი, სამაგალითოა. ის შედის ყველა ბაზალეთელის ოჯახში, ცდილობს მათ დახმარებას და მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული“ - დასძინა მარინე ვეფხვაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, განმარტა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა ერთადერთია, სადაც ყოველთვის სამუშაო განწყობაა, არის დებატები, კამათიც. ფრაქციის სახელით კომისიის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ, შეაფასა: „ძალიან კარგია, რომ კომისიის თავმჯდომარეს, ანგარიშში საკრებულოს აპარატის საქმიანობა სწორად აქვს შეფასებული. ერთხელ კიდევ აღვნიშნავ იმასაც, რომ სწორედ ვარლამ ჭიპაშვილის ინიციატივით მოხდა ბიუჯეტის პროექტის განხილვები მოსახლეობაში. ეს ძალიან კარგია, მაგრამ კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მივიღებ იმიტომ, რომ მათი მხრიდან ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში, უარყოფითად შეფასდა“.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში დადებითად შეაფასა საკრებულოს 19-მა დეპუტატმა, ანგარიშს უარყოფითი შეფასება 4-მა დეპუტატმა მისცა, 5-მა დეპუტატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. სხდომას არ ესწრებოდა 7 დეპუტატი.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში პოეზიის დღე აღინიშნა

7 მაისი პოეზიის დღეა, რომლის ინიციატივა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანასა და „ცისფერყანწელებს“ ეკუთვნოდათ. 1920 წელს „ცისფერყანწელთა“ ინიციატივით პირველად გაჟღერდა თარიღის აღნიშვნის ინიციატივა და საქართველოში რეპრესიებამდე, 1937 წლამდე, აღინიშნებოდა. „ცისფერყანწელები“ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ინტერესდებოდნენ თითოეული ადამიანის პრობლემით, ადგილზე ეცნობოდნენ მას და მოგვარების გზებზეც ფიქრობდნენ. ისინი საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ საზოგადოებაში.

ყოველივემ განაპირობა 7 მაისს ნინო სახვაძის სახელობის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება. საღამო საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის, მარინა ვეფხვაძის ორგანიზებითა და ნინო სახვაძის სახელობის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის მხარდაჭერით (დირექტორი მაია ბლუაშვილი) გაიმართა.

საღამო „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას მიეძღვნა და მასში მონაწილეობა პროექტ „ნორჩი მკითხველის“ (ხელმძღვანელი მარინა ვეფხვაძე) მონაწილეებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა მიიღეს. საღამოზე იგალობეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა მგალობელთა გუნდმა (რეგენტი თორნიკე ბაკურაძე).

თამარ მაღრაძე

ხარაგაული ხარკოვის საერთაშორისო ტურისტულ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

11 -13 მაისს უკრაინის ქალაქ ხარკოვში, მერვე საერთაშორისო ტურისტული ფორუმი იმართება. ფორუმში იმერეთის დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას. დელეგაციის წევრია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში მამუკა ჭიპაშვილი. ფორუმზე „ხარკოვი-პარტნიორობა ტურიზმის სფეროში“, იმერეთის დელეგაცია წარადგენს პრეზენტაციას, რომლითაც ფორუმის წევრები იმერეთის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებისა და ტურისტული მარშრუტების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ. პრეზენტაციაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი ხარაგაულის ტურისტული პოტენციალი, განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს. პრეზენტაციის ბოლოს, იმერეთის დელეგაცის წევრები, ფორუმში მონაწილეთა შეკითხვებს უპასუხებენ. ფორუმი 3 დღე გაგრძელდება.

„ფორტეპიანოს პრინცესა საქართველოდან“

ულამაზესი და ნიჭიერად დაგეგმილი ღონისძიებებით აღინიშნა ქუთაისობა ანუ „გვირილობა 2016“. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა გულით გაიზიარა ქუთათურთა სადღესასწაულო განწყობა და თავისი სიკეთის სხივი მიაშუქა ამ დღეთა ბრწყინვალებას.

3 მაისი, საღამოს 6 საათი...

მაყურებელს ვერ იტევს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. აქ საქველმოქმედო კონცერტს მართავს მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, იუნესკოს მშვიდობის ელჩი, ელისო ბოლქვაძე...

არა აქვს მნიშვნელობა გაქვს თუ არა შეხება მუსიკასთან. გაოგნებულია დარბაზი. ფორტეპიანოს კლავიშებზე მფრინავი თითებით სრულდება ფრედერიკ შოპენის, კლოდ დებიუსის, სერგეი პროკოფიევის საოცარი ნაწარმოებები.

* * *

ოთხი წლის ასაკიდან გამოავლინა გოგონამ ღვთისგან მიმადლებული ნიჭიერება. უკვე შვიდი წლის ასაკში პირველი კონცერტი გამართა ორკესტრთან ერთად.

ნიჭიერებასთან შერწყმულმა თავდაუზოგავმა შრომამ გაუკვალა მას გზა დიდი წარმატებისკენ. ელისო ბოლქვაძე არის მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული. აი, მცირე ჩამონათვალი: ვან კლიბერნის კონკურსი (აშშ), ვიანა და მოტა (ლისაბონი), აქსას საერთაშორისო პიანო ფესტივალი (დუბლინი), მარგარიტ ლონგის კონკურსი (პარიზი). მიღებული აქვს „სპეციალური პრიზი“ ფრანგული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის.

როგორც ქართველს, სიამაყე გავსებს, როცა ეცნობი ქალბატონი ელისოს მიმართ მსოფლიო პრესის შეფასებებს: „ფორტეპიანოს პრინცესა საქართველოდან“, „გასაოცარი ტალანტი“, „ბრწყინვალე ვირტუოზი და შესანიშნავი პიროვნება“, „საოცარი მგრძნობელობით გაჟღენთილი თითოეული ნოტი“, „გამაოგნებელი თავისი ვირტუოზულობით, ინდივიდუალურობითა და არტისტიზმით“ და უამრავი სხვა.

პიანისტმა 2013 წელს დააარსა საქველმოქმედო ფონდი „ლირა“, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პიანისტების წარმოჩენას. ამავე წელს დააფუძნა ბათუმის საერთაშორისო კლასიკური მუსიკის ფესტივალი.

პირველად საქართველოს ისტორიაში 2015 წელს ელისო ბოლქვაძეს მიენიჭა „იუნესკოს მშვიდობის არტისტის“ მაღალი წოდება. ამავე წელს საფრანგეთმა მას ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კავალერის ორდენი მიანიჭა ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

* * *

იმ წუთებში, სწორედ კონცერტის მსვლელობისას, გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ ელისო ბოლქვაძე ცნობილი პოეტის, ზაურ ბოლქვაძის ქალიშვილია. მუსიკის სფეროდან შორსა ვარ და ამ წერილის დაწერის უფლებაც სწორედ პოეზიის დიდი სიყვარულით მივეცი ჩემს თავს.

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როცა ზაურ ბოლქვაძის პირველი პოეტური კრებული „ღელვის დასაწყისი“ გამოვიდა. შემდეგ მას მოჰყვა კრებულები: „ლექსები“, „მიწის სიმწვანე“, „ვარსკვლავები“ და სხვა. პოეტს პირადად ვიცნობდი. მახსოვს ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც მის პირველ კრებულს ეძღვნებოდა, პოეტს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი პოეტის სიტყვებით მივმართე:

„ჩვენში კარგ საქმეს არ ივიწყებენ,
ბევრი ლექსია ამის თავდები,
შენ ამ პატარა ღელვით იწყები,
დე, ქარიშხლითაც ნუ დამთავრდები...“

უფროს თაობას კარგად ახსოვს სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“, რომელსაც იმჟამად ყველასთვის საყვარელი მწერალი ნოდარ დუმბაძე რედაქტორობდა და ახსოვს ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი ზაურ ბოლქვაძე, რომელიც ბათუ მელიას ფსევდონიმით აქვეყნებდა ეპიგრამებს და ებრძოდა ცხოვრების მანკიერებებს.

ექვსიოდე წლის წინ წავიდა მამა, რომელიც ასე ეფერებოდა მშობელ ქართულ მიწას:

„ო, თუ დაიტევს ეს გული ნეტავ,
ამ მთებს და ველებს,
ცას და ვარსკვლავებს
შემწედ მეყოლე, მიწაო დედავ,
და შენი დიდი გზები მასწავლე!“

სამშობლოს გულისაკენ მიმავალი გზებით იარა მამამ, ზაურ ბოლქვაძემ, მსოფლიოს ხალხთა გულებისაკენ უსწრაფესი ნაბიჯებით მიემართება მისი ასული, „ფორტეპიანოს პრინცესა“, ელისო ბოლქვაძე.

მერი გიორგიძე

„მშვიდობიანი საქართველო“ ხარაგაულში ახალი ტურისტული პროექტის განხორციელებას იწყებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობიანი საქართველო“ (პრეზიდენტი ირაკლი ჩიგოგიძე) ახალი ტურისტული პროექტის განხორციელებას იწყებს. „ეკოტურიზმი-გარემოს დაცვაა“ ბაღდათისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში განხორციელდება. პროექტის მიზანია ახალგაზრდების დასაქმება და არაფორმალური განათლებით მათი დაინტერესება სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე. „მშვიდობიანი საქართველოს“ წარმომადგენლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ ის კონკრეტული დეტალები და მარშრუტები განიხილეს, რაც ზაფხულზე პროექტის განხორციელებისთვისაა საჭირო. უახლოეს მომავალში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.

„ორი მუნიციპალიტეტის ფარგლებში 40 მარშრუტი განხორციელდება, აქედან 32 ბაღდათში, ხოლო 8 - ხარაგაულში. პროექტში ჩართული იქნებიან საბაზისო კლასის მოსწავლეები. ხარაგაულში ძირითადი აქცენტი სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებზე, გაკეთდება“- აღნიშნა შეხვედრაზე „მშვიდობიანი საქართველოს“ ბაღდათის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე სალომე ზირაქაძემ.

კობა ლურსმანაშვილი: (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი) „ჩვენ, რა თქმა უნდა, ხელს შევუწყობთ მსგავსი პროექტების განხორციელებას. ხარაგაული და ბაღდათი მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებია და სიამოვნებით ჩავერთვებით მათთან ერთად ტურისტულ მარშრუტებში. ეკოტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის, ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ხარაგაულში, რაც მომავალში, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის საწინდარია.“

ამავე დღეს „მშვიდობიანი საქართველოს“ წარმომადგენლები ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდნენ და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესდნენ. ორგანიზაციის პრეზიდენტმა, ირაკლი ჩიგოგიძემ, ადგილობრივ მოსახლეობას სამოქმედო გეგმები გააცნო.

თეა ბერიძე
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ხარაგაულის ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს უფასო სამედიცინო აქცია ჩაუტარდათ

ხარაგაულის ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ (დირექტორი გიორგი ჩიჩილიძე) და ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის(დირექტორი ქეთევან აბრამიშვილი) ერთობლივი ინიციატივით, „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ. ამბულატორიის მთავარი ექიმის, ქეთევან აბრამიშვილის ინფორმაციით, ბენეფიციარებს ექიმი—სპეციალისტები მოემსახურნენ და მათ კლინიკურ—ლაბორატორიული და სადიაგნოსტიკო გამოკვლევები ჩაუტარეს. უფასო სასადილოს მომხმარებლებს როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული ექიმები მოემსახურნენ.

იმერეთის ჯალათბურთის ჩემპიონატში ხარაგაულმა მეორე ადგილი დაიკავა

ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში კალათბურთში იმერეთის გოგონათა ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა. შეხვედრას იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მამუკა ჩიხლაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, დავით დევდარიანი და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდნენ. დასკვნით შეხვედრაში ერთმანეთს ხარაგაულისა და ქუთაისის გუნდები დაუპირისპირდნენ. საბოლოო გამარჯვება ქუთაისის ნაკრებმა მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილზე ხარაგაულის გუნდი (მწვრთნელი გოჩა ბუაჩიძე) გავიდა. გამარჯვებულს სულიკო თორთლაძის სახელობის გარდამავალი თასი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გადასცა. სერტიფიკატებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ: ხარაგაულის, ზესტაფონისა და ტყიბულის გუნდები, რომლებმაც შესაბამისად მე—2, მე—3, მე—4 ადგილები გაინაწილეს. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის მუნიციპლიტეტის გამგებლის მოადგილეებმა: პაატა გოგოლაძემ და დავით დევდარიანმა, ასევე ბორის სკოლა-პანსიონის პედაგოგმა გიგა ბერაძემ. გამოვლინდნენ საუკეთესო მოთამაშეები, რომლებსაც ფასიანი საჩუქრები გადაეცათ საუკეთესო ფორვარდი ლანა გეწაძე-ზესტაფონი; საუკეთესო უკანა ხაზის მოთამაშე ანი ბლიაძე-ხარაგაული; საუკეთესო სამქულიანები სალომე გაბრიჭიძე-ქუთაისი. ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი წილად ხვდა ხარაგაულელ თამარ ინასარიძეს. ფასიანი საჩუქარით დაჯილდოვდა სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული, მაგიდის ჩოგბურთის გოგონათა გუნდის მწვრთნელი გიგა ბერაძე.

ღონისძიების დასასრულს იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მამუკა ჩიხლაძემ, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა ლურსმანაშვილს და ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის” დირექტორს დავით გელაშვილს. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ადგილობრივ თვითმმართველობას კალათბურთში აქტიური მონაწილეობისათვის დიპლომი გადასცა. შეგახსენებთ, რომ იმერეთის ქალთა ჩემპიონატი კალათბურთში 23 აპრილს დაიწყო და მასში ხარაგაულის, ზესტაფონის, ტყიბულისა და ქუთაისის გუნდები იღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნული მატჩი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით უკვე მე-3 წელია იმართება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში ახლადრეაბილიტირებულ ღია ესტრადაზე დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს

ხარაგაულში ახლადრეაბილიტირებულ ღია ესტრადაზე დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს. ამფითეატრის დარაბებს დაემატება წვიმისგან დამცავი მოწყობილობა, ასევე შეიღებება ესტრადის შიდა ფასადი. ღია ესტრადის რეაბილიტაცია ხარაგაულში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. საკონცერტო დარბაზი ექვსას მაყურებელზეა გათვლილი.

და დაგვრჩა ვალი გაუხარჯელი სიყვარულისა...

(არსენ სხილაძის ხსოვნას)



ჩვენო არსენ!

ორი თვის წინ გამომჟღავნდა, რომ უკურნებელმა სენმა თავისი ორლესული მახვილი დაგმიზნა, სიკვდილმა სათავისოდ მიგიჩნია...

ფანტაზიით აღვიქვამ, თუ როგორ შეხვდა 18 წლის ასაკში ჩვენგან განშორებული უსაყვარლესი მიშო, მიშიკო სხილაძე თავის 68 წლის მამას, არსენ სხილაძეს. ნეტავ შენ თუ იცანი უკვე 36 წლის დავაჟკაცებული შენი ამქვეყნიური დიდი სიხარული და მერე მოუშუშებელ ჭრილობადქცეული შენი მიშიკო...

... ვიგონებთ გარდასულ დღეებს, ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ რვაბინიანი სახლის ერთ ოჯახად შეკრულ რვა ოჯახს...

ობლობაში გაზრდილმა ყმაწვილმა დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი უნარით გაიკვლიე გზა წუთისოფელში. ცისანა ჩიტაძის სახით ღირსეული ოჯახის ჭკვიანი, შრომისმოყვარე და უპატიოსნესი ქალიშვილი აირჩიე ცხოვრების თანამგზავრად. ჩვენ თვალწინ გაიზსო და გალამაზდა შენი კერა. სამმა ფრთახატულა ანგელოზმა - თინათინმა, თამარმა და მამის სეხნია მიხეილმა - სხვა საზრისი მისცა თქვენს ოჯახურ ყოფას. ჭერი ახადა მიშიკოს დაბადებით აგუგუნებულმა სხილაძეების, ვეფხვაძეების, ჩიტაძეების „მრავალჟამიერმა“...

მერე მოულოდნელი მეხთატეხა... რომლის ნაპერწკლები დღესაც აჩნია ჩვენს გულებს, ყველას, ვინც მიშიკო სხილაძეს იცნობდა, მის მომავალს შეჰხაროდა...

დააფრთიანე შვილები ახალი ძალა შეგმატეს თვალხატულა შვილიშვილებმა: გიორგიმ, მიშიკომ, ნინომ, მარიამმა, ლევანმა, ქეთევანმა, ერეკლემ...

- რა კარგი ყოფილა ავადმყოფობა, შვილები და შვილიშვილები სულ ჩემთან არიან, გითქვამს.

ავადმყოფობასთან შერკინებულ შენს ნათელ გონებას ბოლო სამ კვირას ბურუსი გადაეფარა, პერიოდულად მხოლოდ „ ჩიტო, ჩიტოს“ იძახდი. უერთგულეს მეუღლეს ამ სიტყვებით ეფერებოდი სიცოცხლეშიც და სიცოცხლესთან განშორების დროსაც. ანდერძად დაუბარე შვილიშვილებს: „ბებო ხშირად გააცინეთ, ეცადეთ, რომ არ იტიროს...“

ამ ანდერძს უეჭველად აგისრულებენ შენი ანგელოზები. თვით შენ ხომ, სრულიად ჩვილ ასაკში დაობლებულმა, მთელი ძალით შეიგრძენი ბებიის სიტკბო, მისი მადლი. სულგანათლებულმა ქალბატონმა, მარუსა ნიშნიანიძემ, თავის მეცხრე შვილი, შენზე შვიდი თვით უფროსი ამირანი, ძუძუს მოსწყვიტა და ტკბილი ულუფა შენ მოგკერძა. ბებოს რძით დაპურდი და გაიზარდე - განა მეტი მადლი იქნება?! მერე ბებოს ანდერძისამებრ ააგე სახლი მშობლიურ ილემში ამირანის სახლის მოპირდაპირედ და ე.წ. „ძმობის ხიდით“ გულებივით შეაერთე ბიძა-ძმისშვილის სახლები...

ჩვენო არსენ! ხარაგაულის ქუჩებს იშვიათად თუ ახსოვთ ისეთი ხალხმრავლობა, როგორიც შენს პანაშვიდებზე და ბოლოს სამუდამო სავანესთან მიახლებისას იყო...

შენ ხომ ყველას თანამდგომი იყავი ჭირსა და ლხინში. ვალი არავისი გაგყოლია... ჩვენ, დროებით აქეთ დარჩენილებს, კი დაგვრჩა თქვენი ვალი. ეს, თქვენ მიმართ გაუხარჯავი სიყვარულია, რომელიც მალიმალ აენთება, აბრიალდება , რათა გაანათოს ნაადრევად წასული კარგი ქართველის, არსენ სხილაძის, უკვდავი სახელი.

მერი გიორგიძე

ბორის სკოლა-პანსიონის სამოქალაქო „SMART - ჯლუბმა“ მორიგი სოციალური აქცია განახორციელა

ბორის სკოლა-პანსიონის (დირექტორი ჰამლეტ ბერაძე) სამოქალაქო „Smart - კლუბმა“ (სამოქალაქო განათლების პედაგოგი მაია ბარბაქაძე) მორიგი სოციალური აქცია განახორციელა. აქცია ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით, ა/ო „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ დაფინანსებითა და ამერიკელი მეგობრების მხარდაჭერით ჩატარდა. კლუბის წევრებმა გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ჩხეიძესთან, სკოლა - პანსიონის დირექტორ ჰამლეტ ბერაძესთან და კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელ გია ჩხიკვაძესთან ერთად სოციალურად დაუცველ სამ ოჯახს (მურმან ხიჯაკაძე - წყალაფორეთი, ზურაბ მუმლაძე - კიცხი და ხვიჩა ავალიშვილი - ვარძია) საკვები პროდუქტები გადასცეს.

თამარ მაღრაძე

განცხადება

ხარაგაულელ გოგა კვინიკაძეს კიდევ ერთხელ სჭირდება ჩვენი დახმარება. გოგას თბილისში ინოვას კლინიკაში უნდა გაუკეთდეს სასწრაფო ოპერაცია, რომლისთვისაც 6 000 ლარია საჭირო. ყველანი ერთად დავუდგეთ გოგას გვერდში, რათა დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს. მათ ვისაც გსურთ გაუწიოთ ფინანსური დახმარება გოგა კვინიკაძის ოჯახს, თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ლიბერთი ბანკის ანგარიშზე- GE17LB0711128138522000.

ხარაგაულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ახალი მანქანა გადაეცა

ხარაგაულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ახალი სპეც მანქანა გადაეცა. სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი მანქანები საქართველოს ყველა რეგიონში 27 აპრილს განაწილდა. 20 მაღალი გამავლობის სპეც მანქანა ხარაგაულის, ზესტაფონის, ტყიბულის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქობულეთის, მარტვილის, თელავის, გურჯაანის, მცხეთის, წალკის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, კასპის, ქარელის, ნინოწმინდის, ცაგერისა და ონის რაიონებში განთავსდა. რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს 180 საშუალო და მაღალი გამავლობის ავტომობილი 2014 წელს გადაეცა. 20 ახალი სპეც მანქანა რეგიონული სასწრაფოსთვის ჯანდაცვის სამინისტრომ გასული წლის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად შეიძინა.

ბორისა და ხევის საჯარო სკოლები სპორტული ოლიმპიადის გამარჯვებულები გახდნენ

იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა დასრულდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები ოლიმპიადაში მასშტაბურად იყვნენ ჩართული. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა რამდენიმე საპრიზო ადგილი დაიკავეს. მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი ბორის სკოლა—პანსიონის გუნდმა დაიკავა. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი ასევე გეზრბენში ხევის საჯარო სკოლის ვაჟების გუნდი გახდა.

ხარაგაულიდან ოლიმპიადაზე მეორე ადგილის მფლობელი სამი სკოლა გახდა. სასკოლო ოლიმპიადაზე კალათბურთში ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის გოგონების გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა. ასევე მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ ბადმინტონში N3 საჯარო სკოლის ვაჟების და N2 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდები.

გეზრბენში მესამე ადგილი ხევის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა აიღო.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე, რეგიონის მასშტაბით ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ქუთაისისა და წყალტუბოს შემდეგ გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

ზაფხულში პირველ ადილზე გასული ბორის სკოლა-პანსიონისა და ხევის საჯარო სკოლის გუნდები საქართველოს მასშტაბით სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებულ ბავშვებთან ერთად, ორი კვირით ანაკლიის ბანაკში დაისვენებენ.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა

ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა. 10 მაისს საფეხბურთო კლუბი საკუთარ სტადიონზე რუსთავის „რუსთავს“ დაუპირისპირდა. დაძაბული თამაში „ჩხერიმელას“ სასარგებლოდ 2:1 დასრულდა. მოწინააღმდეგის კარში ორი გოლი თამაშის პირველ ტაიმში გავიდა. საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ პირველ ლიგაში თამაშობს. ამ თამაშით გუნდმა სატურნირო ცხრილში მეთერთმეტე ადგილი შეინარჩუნა. ხარაგაულის „ჩხერიმელა“ მორიგ თამაშს 16 მაისს ხელვაჩაურის „მაჭახელასთან“ გამართავს.

ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ „ბაქოს გრან-პრიზე“ მეორე ადგილი დაიკავა

29 აპრილს აზერბაიჯანის ქალაქ ბაქოში თავისუფალ ჭიდაობაში „ბაქოს გრან-პრის“ ტურნირი გაიმართა. ტურნირზე ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ (მწვრთნელი კახა დობორჯგინიძე) მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მან 84 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა და ფინალურ შეხვედრამდე ზედიზედ დაამარცხა აზერბაიჯანელი და ყირგიზი მოჭიდავეები. „ბაქოს გრან-პრიზე“ მეორე ადგილიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ გამარჯვება მინდოდა. ფინალში ირანელ მოჭიდავესთან დავმარცხდი. ვარჯიშს განვაგრძობ და მუდმივად ფორმაში ვარ“- აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზაურ ბერაძემ.

ზაურ ბერაძე ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის(დირექტორი დავით გელაშვილი) სპორტსმენია. მან ორიოდ კვირის წინ საბერძნეთის ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა.

ფრთხილად, შხამქიმიკატებია!

ანტიკურ პერიოდში საბერძნეთში შხამებს იყენებდნენ დამნაშავეთა დასასჯელად

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა. მიუხედავად ამისა, შრომითი საქმიანობის ხასიათი და პირობები, რომელშიც ადამიანი მოღვაწეობს მისთვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად, ხშირ შემთხვევაში ძალზე სახიფათოა. ამიტომ აუცილებელია მომხმარებელთა გათვითცნობიერება, რა შემთხვევაში უნდა მიიღოს ქიმიურ ღონისძიებათა ჩატარების გადაწყვეტილება. ამავე დროს კარგად უნდა გაერკვეს გამოსაყენებლად შესარჩევ ქიმიკატის კლასიფიკაციაზე, მის საშიშ მხარეზე (რადგანაც ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან), უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

არის შემთხვევები, როცა მომხმარებელი შედეგის მიღების დადგენილ დრომდე ეძებს, მისი აზრით, უფრო ძლიერს და უფრო მეტად აბინძურებს გარემოს. ლოდინის პერიოდის გასვლამდე შედის შეწამლულ ფართში და თვითონაც იწამლება. არაფრად მიიჩნევენ მცირედ გამოხატულ ინტოქსიკაციის სიმპტომებს, რაც წლების შემდეგ მძიმე დაავადებათა გამოვლენის ერთ-ერთი მიზეზია. ირგვლივ არსებული ეს პრობლემები გადაწყვეტას მოითხოვს. იმდენად გაუთვითცნობიერებელია მომხმარებელი, რომ მოითხოვს და თანაც დაჟინებით, „დაუქუცმაცო“ გრამებში და მილიგრამებში მისთვის მცირე ფართობის შესაბამისად ქიმიკატები. ამ პრობლემის მოხსნა შეიძლება მარტივად - რამდენიმე მომიჯნავე ნაკვეთის მფლობელს შეუძლია 15-50 ან 100 ლ. ხსნარის ერთ ჭურჭელში მომზადება. სხვა შემთხვევაში შეუძლიათ წვრილად დაფასოებულთა მოძიება ზესტაფონში, ქუთაისში ან თბილისში. ეს შეეხება მხოლოდ სოკოვან დაავადებათა საწინააღმდეგო ფუნგიციდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, მიმწოდებლები, აღმოვჩნდებით ანტიკური პერიოდის დასასჯელთა სიაში.

მერი მდივნიშვილი

„ფიტოაფთიაქის“ მცენარეთა დაცვის სპეციალისტი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12